

La migration peut être un projet positif et volontaire. En revanche, une partie des trajectoires de migration a pour fondement l'exil, notamment lorsque la raison de la venue en France est liée à une situation résultant de violences politique ou économique subies dans le pays d'origine, amplifiées souvent sur le parcours de migration. Il n'y a pas de maladie spécifique à la migration mais cet exil peut être un facteur de forte vulnérabilité.

L'arrivée dans un nouveau pays, la méconnaissance de son système de santé, le statut administratif, la précarité et l'isolement sont des facteurs qui rendent difficile l'accès à des soins.

Parallèlement, d'autres obstacles sont fréquemment rencontrés par les migrants, tels que le fait de ne pas maîtriser le français, d'avoir des difficultés à trouver les informations nécessaires dans leurs démarches, d'être confronté à des professionnels ne comprenant pas la spécificité de leur situation, générant ainsi un traitement défavorable de leur situation et parfois des discriminations.

L'obtention d'une couverture maladie, qui permettra la prise en charge des frais de soins, est cruciale en-dehors des situations d'urgence médicale, où l'on peut se rendre aux urgences des hôpitaux.

Ce livret bilingue, construit à partir des besoins des migrants et traduit dans leur langue, a notamment pour objectif de leur apporter les informations nécessaires à l'identification de soutiens pour faciliter l'accès au système de santé et s'y orienter adéquatement.

მიგრაცია შესაძლოა პოზიტიურ და სასურველ გემას წარმოადგენდეს. თუმცა საიმიგრაციო ნაკადის გარკვეული ნაწილი ეფუძნება თავშესაფრის მოთხოვნას, კერძოდ, როდესაც საფრანგეთში ჩამოსვლა უკავშირდება წარმოშობის ქვეყანაში პოლიტიკური თუ ეკონომიკური ძალადობის შედეგად გამოწვეულ ვითარებას, რაც კიდევ უფრო მძიმდება საიმიგრაციო მარშრუტის გადისას. მიგრაციასთან დაკავშირებული სპეციფიკური დაავადება არ არსებობს, მაგრამ საკუთარი ქვეყნის დატოვებამ შესაძლოა ინდივიდის სოციალურად დათრგუნვა განაპირობოს.

უცხო ქვეყანაში ჩამოსვლა და მისი ჯანდაცვის სისტემის არცოდნა, ადმინისტრაციული სტატუსის მოპოვების სირთულე, ფინანსური გაჭირვება და საზოგადოებისგან გარიყვა იმ ფაქტორებს მოიცავს, რომლებიც მკურნალობაზე ხელმისაწვდომობას ართულებენ.

ამედროულად, მიგრანტი ზედება მრავალ სხვა დაბრკოლებებს, როგორც არის: ფრანგული ენის არცოდნა, განსახორციელებელი პროცედურებისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებული სიძნელეები, ურთიერთობა ისეთ პროფესიონალებთან, ვინც ვერ შეძლო მათი სიტუაციის სპეციფიკაში გარკვევა, რასაც შედეგად მოჰყვა საკითხთან არასათანადო მიდგომა და ზოგიერთ შემთხვევაში, დისკრიმინაცია.

ჯანმრთელობის დაზღვევა, რაც მკურნალობის ხარჯების დაფარვას ითვალისწინებს, ფუნდამენტური წინაპირობაა, თუ არ ჩავთვლით გადაუღებელ შემთხვევებს, როდესაც შესაძლებელია საავადმყოფოს სასწრაფო განყოფილებაში მისვლა და სამედიცინო დახმარების მიღება.

მიგრანტების საჭიროებების მიხედვით შედგენილი და მათ ენაზე თარგმნილი ეს ორენოვანი სახელმძღვანელო მიზნად ისახავს მათთვის სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებას, რათა ჯანმრთელობის სისტემასთან ხელმისაწვდომობის გასაადვილებლად მათ შეძლონ არსებული დახმარებების იდენტიფიკაცია და ამ სისტემაში ადეკვატური ორიენტირება.

L'ACCÈS AUX SOINS ET À LA PRÉVENTION P. 6

მკურნალობისა და პრევენციის
სელმისაწვდომობა P. 6

L'interprétariat professionnel 10
პროფესიონალი თარგმანის სერვისი 11

**Les aides pour accéder aux soins
et à la prévention 14**

დახმარება მკურნალობისა და პრევენციის
სელმისაწვდომობაზე 15

Où se soigner? 20
სად შეიძლება მკურნალობა 21

La protection maladie 32
ჯანმრთელობის დაცვა 33

Le handicap 44
ინვალიდობა 45

Santé et travail 48
ჯანმრთელობა და შრომითი საქმიანობა 49

LA SANTÉ P. 52

ჯანმრთელობა P. 52

Pour être en bonne santé 54
როგორ შევინარჩუნოთ ჯანმრთელობა 55

Santé mentale 84
ფსიქიკური ჯანმრთელობა 85

Santé sexuelle et VIH 92
სექსუალური ჯანმრთელობა და აივ ინფექცია 93

La grossesse 122
ორსულობა 123

La santé des enfants 130
ბავშვების ჯანმრთელობა 131

Diabète 136
დიაბეტი 137

Maladies cardiovasculaires 140
გულ-სისხლძარღვთა დაავადებები 141

Tuberculose 142
ტუბერკულოზი 143

Hépatites virales 146
ვირუსული ჰეპატიტები 147

Les cancers 154
სიმსივნეები 155

Apprendre à vivre avec sa maladie	158
ისწავლო ცხოვრება დაავადებასთან ერთად	159
Santé et climat	160
ჯანმრთელობა და კლიმატი	161
Santé en France d'Outre-mer	164
ჯანდაცვა საფრანგეთის ზღვისიქითა ტერიტორიებზე	165

QUELQUES

INFORMATIONS UTILES P. 168

სასარგებლო ინფორმაცია P. 168

Lutte contre les discriminations 170
ბრძოლა დისკრიმინაციების წინააღმდეგ 171

Rôle de l'assistant(e) social(e) 174
სოციალური მუშაკის როლი 175

Rôle des médiateurs en santé 174
ჯანდაცვის მედიატორების როლი 175

Domiciliation administrative 176
ადმინისტრაციული მისამართი 177

La traduction des documents officiels 182
ოფიციალური დოკუმენტების თარგმნა 183

Au quotidien 184
ყოველდღიურობაში 185

Apprendre le français	192
ფრანგული ენის შესწავლა	193
La scolarisation des enfants	194
ბავშვების განათლება	195
Numéros utiles en cas d'urgence	196
საჭირო კონტაქტები გადაუდებელი შემთხვევების დროს	197
Carte de France	198
საფრანგეთის რუკა	199

LISTE DES ABRÉVIATIONS P. 200

აბრევიატურების სია

L'ACCÈS AUX SOINS ET À LA PRÉVENTION

გაურუნალოგისა და პრევენციის სელმისაწვდომობა



	L'INTERPRÉTARIAT PROFESSIONNEL პროფესიონალი თარჯიმნის სერვისი	10 11
	LES AIDES POUR ACCÉDER AUX SOINS ET À LA PRÉVENTION დახმარება გაურუნალოგისა და პრევენციის სელმისაწვდომობაზე	14 15
	OÙ SE SOIGNER? სად შეიძლება გაურუნალობა	20 21
	LA PROTECTION MALADIE ჯანმრთელობის დაცვა	32 33
	LE HANDICAP ინვალიდობა	44 45
	SANTÉ ET TRAVAIL ჯანმრთელობა და შრომითი საქმიანობა	48 49

La France bénéficie d'un système de santé qui permet de répondre aux besoins de prévention et de soins de la population. Toutefois, l'arrivée dans un nouveau pays et la méconnaissance de son système de santé sont des facteurs qui peuvent rendre difficile l'accès à des soins.

Le parcours qui a permis d'arriver jusqu'en France et la situation de précarité, qui peut être rencontrée sur le plan financier, du statut administratif et de l'isolement, peuvent rendre vulnérable.

Il est donc important de comprendre comment s'orienter dans le système de santé en France pour accéder aux soins et à la prévention.

Il faut savoir que les professionnels de santé sont tenus au secret médical et doivent travailler dans l'intérêt de la santé des personnes.

Certaines personnes maîtrisent mal la langue française et ont des difficultés à trouver les informations nécessaires dans leurs démarches. Parfois, certains professionnels ne comprennent pas leur situation. Beaucoup de ces malentendus, souvent attribués à des différences de culture, peuvent être levés grâce à un interprète professionnel (voir page 10) ou un médiateur en santé (voir page 174).

საფრანგეთი სარგებლობს ჯანდაცვის სისტემით, რომელიც მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების და პრევენციის საჭიროებებს უზრუნველყოფს. თუმცა, უცხო ქვეყანაში ჩამოსვლა და ჯანდაცვის სისტემის არცოდნა იმ ფაქტორებს წარმოადგენს, რომლებმაც მკურნალობზე ხელმისაწვდომობა შეიძლება გაართულონ.

გზამ, რომელიც ინდივიდმა გამოიარა საფრანგეთამდე ჩამოსასვლელად, ასევე ფინანსურმა სიდუხჭირემ, ადმინისტრაციული სტატუსის მოპოვების სირთულემ და საზოგადოებიდან გარიყვამ, შესაძლოა ინდივიდი სოციალურად დაუცველი გახადოს.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია საფრანგეთის ჯანდაცვის სისტემაში გარკვევა, რათა ხელმისაწვდომი იყოს მკურნალობა და პრევენციული ღონისძიებები.

აღსანიშნავია, რომ მედ-პერსონალს პროფესია ავალდებულებს სამედიცინო საიდუმლოების დაცვას და ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვას.

ზოგიერთი ადამიანი საკმარისად ვერ ფლობს ფრანგულ ენას და უჭირს ადმინისტრაციული პროცედურებისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიება. ზოგჯერ, პროფესიონალებს უნებლდებთ სიტუაციაში გარკვევა და ამგვარ გაუგებრობებს ხშირად კულტურათა სხვაობით ხსნიან. მისი თავიდან არიდება პროფესიონალი თარჯიმნის (ნახეთ ქვემოთ 11) ან ჯანმრთელობის სფეროს მედიატორის (ნახეთ გვერდი 175) დახმარებით არის შესაძლებელი.



L'INTERPRÉTARIAT PROFESSIONNEL

Il peut être gênant d'expliquer des choses de la vie intime ou une histoire familiale devant un proche (famille, ami) qui traduit pour vous. L'interprète professionnel respecte la confidentialité d'un entretien et vous permet de parler en confiance de votre situation et de comprendre les explications médicales et sociales.

Il est également indispensable de bien comprendre le traitement mis en place par un médecin, d'être en mesure de donner son accord pour la réalisation d'exams (radiographies, prise de sang...) ou pour un dépistage.

N'hésitez pas à demander le recours à un interprète professionnel pour être sûr de bien comprendre et vous faire comprendre. Avec ou sans interprète, n'hésitez pas à faire répéter et poser des questions pour être sûr d'avoir bien compris.



პროფესიონალი თარჯიმნის სერვისი

პირად ცხოვრებაზე ან ოჯახურ თემაზე საუბარი ახლობლის (ოჯახის წევრის, მეგობრის) თანდასწრებით, რომელიც თარჯიმნობას გიწვეთ, შეიძლება ერთგვარ უზერსულობას წარმოადგენდეს. პროფესიონალი თარჯიმანი საუბრის კონფიდენციალურობას იცავს და თქვენს მდგომარეობაზე თავისუფლად ლაპარაკის საშუალებას გაძლევთ. ამასთანავე, სოციალურ და სამედიცინო განმარტებებს უკეთესად გაიგებთ.

ასევე აუცილებელია, რომ კარგად გაიგოთ ექიმის მიერ დანიშნული მკურნალობა, შეძლოთ თანხმობის მიცემა გამოკვლევების (რენტგენი, სისხლის ანალიზი...) ან სკრინინგის ჩასატარებლად.

თქვენ შეგიძლიათ ითხოვოთ პროფესიონალი თარჯიმნის მომსახურება, რათა კარგად გაიგოთ და სხვასაც გააგებინოთ. თარჯიმნით თუ თარჯიმნის გარეშე, არ მოგერილოთ, გაამეორებინეთ და დასვით შეკითხვები, რათა დარწმუნდეთ რომ კარგად გაერკვიეთ საკითხში.



De nombreux organismes de santé (hôpitaux, centres de santé, centres de vaccination, centres de dépistage, PMI) et associations d'aide aux migrants font appel à des associations d'interprétariat médico-social professionnel. Certaines d'entre elles sont gratuites: renseignez-vous auprès d'un(e) assistant(e) social(e).



ISM interprétariat combine plusieurs modes d'interprétariats en France, y compris par vidéoconférence:

- > pour un interprétariat par téléphone:
01 53 26 52 62 ou **telephone@ism-mail.fr**
- > pour un interprétariat par déplacement:
01 53 26 52 52 ou **deplacement@ism-mail.fr**
- > pour un interprétariat par vidéoconférence:
01 53 26 52 72 ou **video@ism-mail.fr**

Les principaux réseaux et associations qui fournissent un service d'interprétariat professionnel dans les grandes villes métropolitaines sont:

Aptira ANGERS	ISM Corum LYON	ISM Interprétariat PARIS
Mana BORDEAUX	Osiris MARSEILLE	Réseau Louis Guilloux RENNES
Accueil et promotion BOURGES	ISM Méditerranée MARSEILLE	Migration santé Alsace STRASBOURG
Addcaes CHAMBERY	ISM Est METZ	Cofrimi TOULOUSE
Adate GRENOBLE	Asamla NANTES	AAMI 70 VESOUL



მრავალი სამედიცინო დაწესებულება (სავადმყოფოები, სამედიცინო ცენტრები, ვაკცინაციის და სკრინინგის ცენტრები, დედათა და ბავშვთა დაცვის ცენტრები (PMI) და მიგრანტების დახმარე ასოციაციები თანამშრომლობენ სამედიცინო-სოციალურ სფეროში მომუშავე პროფესიონალ თარჯიმანთა ასოციაციებთან. ზოგიერთი მათგანი უფასოა. ამის შესახებ ინფორმაცია მოიძიეთ სოციალური მეშპეისგან.



ISM interprétariat საფრანგეთში სახვადასხვა სახის თარჯიმნობას აერთიანებს, მათ შორისაა ვიდეო კონფერენციაც:

- > ტელეფონით თარჯიმნობა:
01 53 26 52 62 - telephone@ism-mail.fr
- > ადგილზე მისვლით თარჯიმნობა:
01 53 26 52 52 - deplacement@ism-mail.fr
- > ვიდეო კონფერენციით თარჯიმნობა:
01 53 26 52 72 - video@ism-mail.fr

საფრანგეთის დიდ ქალაქებში პროფესიონალი თარჯიმნით მომსახურებას უზრუნველყოფენ შემდეგი ძირითადი ქსელები და ასოციაციები:

Aptira ანჰშ (ANGERS)	ISM Corum ლიონი (LYON)	ISM Interprétariat პარიზი (PARIS)
Mana ბორდო (BORDEAUX)	Osiris მარსელი (MARSEILLE)	Réseau Louis Guilloux რენი (RENNES)
Accueil et promotion ბურჰი (BOURGES)	ISM Méditerranée მარსელი (MARSEILLE)	Migration santé Alsace სტრასბურგი (STRASBOURG)
Addcaes შამბერი (CHAMBERY)	ISM Est მეტი (METZ)	Cofrimi ტულუზა (TOULOUSE)
Adate გრენობლი (GRENOBLE)	Asamla ნანტი (NANTES)	AAMI 70 ვესული (VESOUL)



LES AIDES POUR ACCÉDER AUX SOINS ET À LA PRÉVENTION

Si vous souhaitez une aide pour accéder aux soins et à la prévention, vous pouvez contacter :

Les permanences téléphoniques nationales du Comede pour des informations concernant l'accès aux soins, le droit au séjour pour raison médicale et la santé mentale :

- Soutien et expertise pour l'accès aux soins, aux procédures d'obtention d'une protection maladie, aux dispositifs de droit au séjour pour raison médicale et aux autres prestations liées à l'état de santé des étrangers. Permanence téléphonique socio-juridique: **01 45 21 63 12**, du lundi au vendredi, 9h30 - 12h30.
- Soutien et expertise relatifs aux soins médicaux, à la prévention, aux bilans de santé et aux aspects médico-juridiques pour le droit des étrangers. Permanence téléphonique médicale: **01 45 21 38 93**, du lundi au vendredi, 14h30 - 17h30.
- Soutien et expertise pour l'orientation et l'accès aux soins en santé mentale. Information et partage d'expériences sur les questions relatives à la clinique de l'exil et au droit au séjour pour raison médicale. Permanences téléphoniques santé mentale: **01 45 21 39 31**, mardi et jeudi, 14h30 - 17h30.
- Le centre national du Comede à l'hôpital Bicêtre (Ile-de-France): bâtiment La Force, porte 60. Ouvert au public du lundi au vendredi de 8h30 à 18h30 sauf le jeudi matin (ouverture à 13h30). **01 45 21 38 40**



დახმარება მკურნალობისა და პრევენციის ხელმისაწვდომობაზე

თუ გსურთ დახმარების მიღება, რათა ხელმისაწვდომი იყოს მკურნალობა და პრევენციული ღონისძიებები, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:

Comede-ის ეროვნული სატელეფონო ცხელი ხაზების ცენტრებს მკურნალობასთან, ასევე ავადმყოფობის ან ფსიქიკური ჯანმრთელობის მოტივით ბინადრობის უფლების მიღებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად:

- მკურნალობის, ჯანმრთელობის დაზღვევის პროცედურების, ავადმყოფობის მოტივით ბინადრობის უფლების მოპოვების რეგულაციების, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ჯანდაცვასთან დაკავშირებული სხვა შეღავათების ხელმისაწვდომობაზე დახმარება და ექსპერტიზა. სოციალურ-იურიდიული სამსახურის ტელეფონი: **01 45 21 63 12** ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 9:30-დან 12:30-მდე.
- მკურნალობის, პრევენციის, სრული სამედიცინო გამოკვლევის, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა უფლებების სამედიცინო-სამართლებრივ ასპექტებთან დაკავშირებით დახმარება და ექსპერტიზა. სამედიცინო სამსახურის ტელეფონი: **01 45 21 38 93**, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 14:30 - 17:30
- ფსიქიკური ჯანმრთელობის მკურნალობის მიმართულებების და მის ხელმისაწვდომობაზე დახმარება და ექსპერტიზა. ავადმყოფობის მოტივით ბინადრობის უფლების და თავშესაფრის მთხოვნელთა კლინიკის შესახებ ინფორმაციის გაცემა და გამოკვლილების გახზარება. ფსიქიკური ჯანმრთელობის სამსახურის ტელეფონი: **01 45 21 39 31**, ზარები მიიღება სამშაბათს და ხუთშაბათს, 14:30 - 17:30
- სახედმწიფო სამედიცინო ცენტრი Comede ბისეტრის (Bicêtre) საავადმყოფოში (Ile-de-France): შენობა La Force, შესასვლელი 60, ღია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 8:30-დან 18:30-მდე, გარდა ხუთშაბათი დღისა (იხსნება 13:30-დან). ტელეფონი: **01 45 21 38 40**



Les centres d'accueil de soins et d'orientation - CASO de Médecins du Monde pour une prise en charge médicale adaptée et pour des informations sur l'accès aux droits et aux dispositifs publics de soin

- 20 centres d'accueil en France métropolitaine (Saint-Denis, Marseille, Lyon, Bordeaux, Grenoble, etc.).
Téléphonez au **01 44 92 15 15** ou rendez-vous sur www.medecinsdumonde.org/fr/pays/france/centres-accueil-soins-orientation-caso pour trouver un CASO près de chez vous.

Le Réseau Louis Guilloux pour une prise en charge médico-sociale en Ile-et-Vilaine et pour des informations sur les possibilités de prise en charge en Bretagne :

- Bâtiment « Le Samara »,
12 TER, avenue de Pologne
35200 Rennes
02 99 32 47 36
Ouverture au public du centre médical :
Lundi de 14h à 18h
Mardi au vendredi de 8h à 18h

La Case de santé

- 17 place Arnaud Bernard
31000 Toulouse
05 61 23 01 37
En dehors des horaires d'ouverture, la Case de santé assure une permanence des soins, en cas d'urgence seulement : **06 28 33 18 31** (de 9h30 à 18h30 du lundi au vendredi).



Médecins du Monde-ის (მსოფლიო ექიმები) სამკურნალო და საორიენტაციო მიმღები ცენტრები (CASO) შესაბამისი სამედიცინო მომსახურებისთვის, სადაც წარმოებს ინფორმაციის გაცემა ჯანდაცვის სახელმწიფო სისტემასა და უფლებებით სარგებლობის შესახებ.

- 20 მიმღები ცენტრი საფრანგეთის მასშტაბით (სენ-დენი, მარსელი, ლიონი, ბორდო, გრენობლი...). დარეკეთ ნომერზე: **01 44 92 15 15** ან შედით შემდეგ საიტზე: www.medecinsdumonde.org/fr/pays/france/centres-accueil-soins-orientation-caso, რათა მოიძიოთ თქვენთან ახლომდებარე CASO.

Le Réseau Louis Guilloux იღ ე ვილენში (Ile-et-Vilaine) სოციალურ-სამედიცინო დახმარებისთვის და ბრეტანში (Bretagne) მკურნალობაზე ინფორმაციის მისაღებად:

- შენობა « Le Samara »,
12 TER, avenue de Pologne
35200 Rennes
02 99 32 47 36
სამედიცინო ცენტრში მიღების საათები:
ორშაბათი 14 საათიდან 18 საათამდე
სამშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 8 საათიდან 18 საათამდე

La Case de santé (ჯანმრთელობის სახლი)

- 17 place Arnaud Bernard
31000 Toulouse
05 61 23 01 37
სამუშაო საათების გარდა, La Case de santé-ს სამორიგო უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებას გადაუდებელ შემთხვევებში: **06 28 33 18 31** (9:30-დან 18:30-მდე ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით).



Migrations Santé assure des permanences d'accès aux droits de soins ouvertes à tout public:

La Cité de la santé

- ▶ le 4^e samedi du mois de 14h à 18h (sans rendez-vous)
Cité des sciences et de l'industrie, bibliothèque niveau -1
75019 Paris
Métro: Porte de la Villette
01 42 33 24 74
06 50 30 93 17

La Bibliothèque publique d'information

- ▶ le 2^e jeudi du mois (sans rendez-vous)
Centre Pompidou, Espace vie pratique (Niveau 1)
Entrée: 19 rue Beaubourg
75004 Paris
Métro: Rambuteau / Hôtel de Ville / Châtelet
RER: Châtelet / Les Halles
01 42 33 24 74
06 50 30 93 17

Migrations santé

- ▶ Tous les vendredis, sur rendez-vous
11 rue Sarrette
75014 Paris
Métro: Alésia
01 42 33 24 74
06 50 30 93 17



Migrations Santé (მიგრაციები და ჯანდაცვა)
უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების
სამორიგეოებს, სადაც ყველას მიღება სდება:

La Cité de la santé (ჯანმრთელობის ქალაქი)

- ▶ თვის მე-4 შაბათი 14სთ-დან 18სთ-მდე (წინასწარ დანიშნული შეხვედრის გარეშე)
Cité des sciences et de l'industrie, bibliothèque niveau -1
75019 Paris
Métro : Porte de la Villette
01 42 33 24 74
06 50 30 93 17

La Bibliothèque publique d'information

(საინფორმაციო საჯარო ბიბლიოთეკა)

- ▶ მიღება თვის მე-2 ხუთშაბათს (წინასწარ დანიშნული შეხვედრის გარეშე) პომპიდუს ცენტრი - პრაქტიკული ცხოვრების სივრცე (სართული 1)
მთავარი შესასვლელი 19 rue Beaubourg
75004 Paris
Métro : Rambuteau / Hôtel de Ville / Châtelet
RER : Châtelet / Les Halles
01 42 33 24 74
06 50 30 93 17

Migrations santé (მიგრაციები და ჯანდაცვა)

- ▶ ყოველ პარასკევს (წინასწარ დანიშნული შეხვედრით)
11 rue Sarrette
75014 Paris
Métro : Alésia
01 42 33 24 74
06 50 30 93 17



OU SE SOIGNER ?

Toute personne résidant en France a droit à une protection maladie, qui permet la prise en charge totale ou partielle des frais de soins (voir page 32). En attendant d'obtenir cette protection, les personnes peuvent se présenter :

- aux urgences des hôpitaux : il est préférable de rencontrer une assistante sociale de l'hôpital pour ne pas recevoir une facturation complexe à annuler ensuite ;
- dans une PASS (voir page suivante) ;
- ou dans un centre spécialisé s'il n'y a pas d'urgence (voir, par exemple, liste ci-dessus).



Pour trouver un professionnel de santé (médecin, infirmier, etc.)

Pour trouver un établissement de soin (hôpital, centre de santé, etc.)

Pour connaître le prix des consultations de votre médecin (secteur 1 sans dépassement de prix, secteur 2 avec dépassement de prix)

- Rendez-vous sur l'annuaire en ligne de l'Assurance maladie : [www.annuaire.sante.ameli.fr/](http://www.annuaire.sante.ameli.fr)

Si un médecin refuse de vous recevoir parce que vous avez l'AME ou la CMU-c, c'est une discrimination (voir page 170). Vous pouvez en informer le Défenseur des droits par téléphone au **09 69 39 00 00**, du lundi au vendredi de 8h00 à 20h00 (coût d'un appel local) ou sur le site : www.defenseurdesdroits.fr



სად შეიძლება მკურნალობა

საფრანგეთში მაცხოვრებელი ყველა ადამიანი სარგებლობს ჯანმრთელობის დაზღვევით, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურებს მკურნალობის ხარჯებს (იხილეთ გვერდი 33). ამ დაზღვევის მიღებამდე, პირებს შეუძლიათ მიაკითხოთ:

- საავადმყოფოების სასწრაფო განყოფილებებს (უმჯობესია, რომ საავადმყოფოს სოციალურ მუშაებთან შედეგს შეხვედრათ, რათა მოგვინებთ არ დაგჭირდეთ საავადმყოფოს მომსახურების ხარჯების გაუქმებაზე ზრუნვა);
- სამედიცინო მომსახურების სამორიეოებს, PASS-ებს (იხილეთ შემდეგი გვერდი);
- ან სპეციალიზირებულ ცენტრს თუ არ არის გადაუღებელი შემთხვევა (მაგალითად, იხილეთ ქვემოთ ჩამოთვლილი სია).



რომ დაუკავშირდეთ მედ-პერსონალს (ექიმს, ექთანს...) რომ იპოვნოთ სამედიცინო დაწესებულებები (საავადმყოფო, ჯანმრთელობის ცენტრი...)

რომ იცოდეთ თქვენს ექიმთან (სექტორი 1 სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის მიერ დაწესებული ტარიფით მომსახურება, სექტორი 2 დამატებითი საფასურის პრაქტიკა) კონსულტაციის ღირებულება

- შეიძინოთ სამედიცინო დაზღვევის ვებ-გვერდის კატალოგი შემდეგ მისამართზე: www.annuaire.sante.ameli.fr/

თუ რომელიმე ექიმი მიღებაზე უარს გეუბნებათ იმ მოტივით, რომ თქვენ გაქვთ AME ან CMU-c, ეს დისკრიმინაციაა (იხილეთ გვერდი 171). ამის შესახებ შეგიძლიათ აცნობოთ უფლებების დამცველს ტელეფონზე **09 69 39 00 00** ორმაზაბათიდან პარასკევის ჩათვლით მსო-დან 20სთ-მდე (ადგილობრივი სატელეფონო ზარის ღირებულება), ან ვებ-გვერდზე:

www.defenseurdesdroits.fr



Les Permanences d'Accès aux Soins de Santé (PASS)

Les PASS accueillent dans certains grands hôpitaux les personnes en situation de précarité qui ont besoin de voir un médecin mais qui n'ont pas de protection maladie (ou une couverture maladie incomplète) ni de ressources financières, ou qui ont besoin d'être accompagnées dans leur parcours de soins. Grâce aux PASS vous pourrez, en fonction de votre état de santé, bénéficier :

- > d'une consultation avec un médecin ;
- > de soins particuliers (pansement...) et d'examen complémentaires (radio, prise de sang...) ;
- > de médicaments si nécessaire ;
- > de soins dentaires dans une PASS bucco-dentaire.

Un(e) assistant(e) social(e) fera le point avec vous sur votre situation administrative et sociale et vous accompagnera dans vos démarches.



Pour trouver les coordonnées d'une PASS en Ile-de-France

- > rendez-vous sur www.aphp.fr/permanences-daccès-aux-soins-de-santé-lap-hp



სამედიცინო მომსახურების სამორიგეობი (PASS)

ზოგიერთ დიდ საავადმყოფოში სამედიცინო მომსახურების სამორიგეობი, PASS-ები (პასები) ლეზულობენ მძიმე სოციალურ სიტუაციაში მყოფ ადამიანებს, ვისაც ექიმის ნახვა ესაჭიროება, მაგრამ არ გააჩნია დაზღვევა (ან სრულყოფილი დაზღვევა), არც ფინანსური შემოსავალი, ან ვისაც სამკურნალოდ მეგზურობა ესაჭიროება. PASS-ის მეშვეობით, თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით შეგიძლიათ ისარგებლოთ:

- > ექიმთან კონსულტაციით
- > განსაკუთრებული სამედიცინო მომსახურებით (შეხვევებია...) და დამატებითი გამოკვლევებით (რენტგენი, სისხლის ანალიზი...)
- > საჭიროების შემთხვევაში მედიკამენტებით

კბილებზე მკურნალობით სტომატოლოგიურ PASS-ში სოციალური მუშაკი შეაფასებს თქვენს ადმინისტრაციულ და სოციალურ მდგომარეობას და თქვენთვის საჭირო პროცედურებში გაგიწევთ მეგზურობას.



ილ დე ფრანსის რეგიონში PASS-ის კოორდინატების მოსაძიებლად,

- > შედით ვებ-გვერდზე: www.aphp.fr/permanences-daccès-aux-soins-de-santé-lap-hp



Le médecin généraliste

En France, si vous êtes malade ou si vous souhaitez parler avec un médecin, vous devez consulter un « médecin généraliste ». Il peut vous prescrire des médicaments, une prise de sang, une radio ou un autre examen complémentaire. Il peut vous adresser à un « médecin spécialiste » qui traite une partie du corps humain, par exemple: un gastro-entérologue pour les intestins, un dermatologue pour la peau, un cardiologue pour le cœur.



ზოგადი პრაქტიკის ექიმი

საფრანგეთში თუ ავად ხართ, ან ექიმთან საუბარი გსურთ, კონსულტაცია უნდა გაიაროთ ზოგადი პრაქტიკის ექიმთან, თერაპევტი. მას შეუძლია გამოგიწეროთ მედიკამენტები, მოგცეთ მიმართვა სისხლის ანალიზზე, რენტგენზე ან სხვა დამატებით გამოკვლევებზე. მას შეუძლია გაგაგზავნოთ სპეციალისტთან, რომელიც ადამიანის ორგანიზმის გარკვეულ ნაწილს მკურნალობს, მაგალითად: გასტრო-ენტეროლოგი - კუჭ-ნაწლავს, დერმატოლოგი - კანს, კარდიოლოგი - გულს.



Il travaille généralement dans un cabinet privé seul ou avec d'autres médecins ou professionnels de santé (kinésithérapeutes, infirmiers, psychologues...). La consultation est payante mais elle peut être prise en charge totalement ou partiellement par votre couverture maladie.



Attention

► Les médecins dits « conventionnés de secteur 1 » font payer la consultation en fonction des tarifs de remboursement de base définis par l'Assurance maladie. Les médecins « conventionnés secteur 2 » sont plus chers que le tarif remboursé par l'Assurance maladie et pratiquent donc des dépassements d'honoraires. C'est pourquoi il est important de se renseigner sur le secteur avant de consulter un médecin.

Le médecin ne peut pas pratiquer de dépassement d'honoraires si vous avez la CMU-c ou l'ACS (voir page 32).



ზოგადი პრაქტიკის ექიმი ან მარტო მუშაობს კერძო კაბინეტში, ან სხვა ექიმებთან და მედიკოსებთან (ფიზიოთერაპევტებთან, ექთნებთან, ფსიქოლოგებთან...) ერთად. კონსულტაცია ფასიანია, მაგრამ თქვენმა დაზღვევამ შესაძლოა სრულად ან ნაწილობრივ აანაზღაუროს მომსახურების ხარჯები.



ყურადღება

► სექტორი 1-ის ექიმები რომელთაც სამედიცინო დაზღვევის სამსახურთან არსებული ხელშეკრულება აერთიანებთ, კონსულტაციის ღირებულებას სამედიცინო დაზღვევის სამსახურთან შეთანხმებით, ანაზღაურებადი ტარიფის მიხედვით ადგენენ. სექტორი 2-ის ექიმების მომსახურება უფრო ძვირია ანაზღაურებად ტარიფთან შედარებით, რადგან ისინი დამატებითი საფასურის პრაქტიკას ეწევიან. ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ კონსულტაციამდე გაიკითხოთ რომელ სექტორს ეკუთვნის ექიმი.

ექიმს არ შეუძლია დამატებითი საფასურის პრაქტიკას მიმართოს თუ თქვენ CMU-c-ს ან ACS-ს ბენეფიციარი ხართ (იხილეთ გვერდი 33)



Le médecin traitant

Il est recommandé de toujours aller voir le même médecin afin de bénéficier d'une meilleure qualité de suivi et de soins. Le médecin que l'on choisit devient son « médecin traitant ». Vous signerez ensemble un formulaire que vous enverrez à l'Assurance maladie. Si vous êtes bénéficiaire de l'AME, vous n'avez pas besoin de signer ce formulaire.

Vous avez le libre choix de votre médecin traitant. Ce médecin peut également être le médecin de toute la famille si vous avez des enfants. Vous n'avez pas besoin de passer par votre médecin traitant pour consulter certains médecins spécialistes comme un gynécologue, un ophtalmologue ou un dentiste.



ოჯახის ექიმი

რეკომენდებულია, რომ ყოველთვის ერთ ექიმს აკითხავდეთ, რათა სამედიცინო მომსახურება და მკურნალობა გქონდეთ ხარისხიანი. ექიმს, რომელსაც ირჩევთ, თქვენი მკურნალი ექიმი ხდება. მასთან ერთად ხელს აწერთ ფორმულარზე, რომელსაც აგზავნით სამედიცინო დაზღვევის სამსახურში. თუ თქვენ AME-ს ბენეფიციარი ხართ, ამ ფორმულარზე სელმოწერა არ გჭირდებათ.

თქვენ ოჯახის ექიმის თავისუფლად არჩევის უფლება გაქვთ. თუ ბავშვები გყავთ, თქვენი ექიმი შეიძლება აგრეთვე მთელი ოჯახის ექიმიც იყოს. არ არის საჭირო, რომ ოჯახის ექიმს მიაკითხოთ იმ შემთხვევაში თუ გესაჭიროებათ ისეთ სპეციალისტთან კონსულტაცია, როგორც არის გინეკოლოგი, ოფთალმოლოგი, ან სტომატოლოგი.



Le dentiste

Si vous avez besoin de soins dentaires, vous pouvez consulter directement un dentiste sans passer par votre médecin traitant. Certains soins, comme les prothèses dentaires, ne sont pas, ou peu, pris en charge par votre couverture maladie, sauf pour les bénéficiaires de la CMU-c et de l'ACS, pour lesquels les tarifs sont limités : demandez d'abord un devis au dentiste.



► Retrouvez la liste des services de soins dentaires et la liste des PASS bucco-dentaires d'Ile-de-France sur le site : www.aphp.fr



სტომატოლოგი

თუ კბილებზე მკურნალობა გესაჭიროებათ, ოჯახის ექიმისგან მიმართვის გარეშე, შეგიძლიათ პირდაპირ მიმართოთ სტომატოლოგს. ზოგიერთ მკურნალობას, როგორც არის კბილის პროთეზები, დაზღვევა მცირედად, ან საერთოდ არ ფარავს მომსახურების ხარჯებს. ეს არ ეხებათ CMU-c-ს და ACS-ს ბენეფიციარებს ვისთვისაც ტარიფები შეზღუდულია. ამიტომ, სტომატოლოგს ჯერ ინვოისი სთხოვეთ.



► ილ დე ფრანსზე სტომატოლოგიური კლინიკების, სტომატოლოგიური PASS-ების სია იხილეთ ვებ-გვერდზე: www.aphp.fr



LA PROTECTION MALADIE

Obtenir une protection maladie permet la prise en charge des frais de soins et de prévention. Toute personne résidant en France et démunie financièrement a droit à une protection maladie pour payer les frais médicaux.



Pour vous informer sur vos droits et démarches

► consulter vos remboursements, choisir un professionnel de santé ou un établissement de soins, télécharger un formulaire... rendez-vous sur le site de l'Assurance maladie: www.ameli.fr



Vous pouvez joindre un conseiller de l'Assurance maladie

► pour vous guider dans vos démarches et répondre à vos questions: par téléphone au **36 46**, du lundi au vendredi.



Pour avoir droit à une protection maladie

► rendez-vous à la caisse primaire d'Assurance maladie (CPAM) de votre lieu de résidence ou dans une caisse générale de sécurité sociale (CGSS) en Outre-mer. La personne de la CPAM/CGSS vous aidera à faire la demande. Vous pouvez aussi demander une aide auprès d'un(e) assistant(e) social(e) ou d'un écrivain public.



ჯანმრთელობის დაცვა

ჯანმრთელობის დაცვა ანუ სამედიცინო დაზღვევა უზრუნველყოფს მკურნალობის და პროფილაქტიკის ხარჯების დაფარვას. საფრანგეთში მაცხოვრებელ ყველა პირს, მათ შორის სოციალურად დაუცველს, აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვით, რათა დაფაროს მკურნალობის ხარჯები.



თქვენს უფლებებზე, ადმინისტრაციულ პროცედურებზე ინფორმაციის მისაღებად

► ასევე თუ გასურთ შემოწმონ სამედიცინო ხარჯების ანაზღაურება, შეარჩიონ მედიცინის მუშაკი ან სამედიცინო დაწესებულება, თუ დაგჭირდათ რომელიმე ანკეტის გადმოტვირთვა, შედით სამედიცინო დაზღვევის ვებ-გვერდზე: www.ameli.fr



თქვენ შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სადაზღვევო სამსახურის

► მრჩევლს ადმინისტრაციულ პროცედურებში გასარკვევად. იგი თქვენს შეკითხვებს უპასუხებს ტელეფონზე: **36 46** ორშაბათიდან პარასკეის ჩათვლით.



ჯანმრთელობის დაცვის მისაღებად

► მიმართეთ თქვენი საცხოვრებლიდან უახლოეს სადაზღვევო სამსახურს CPAM ან ჯანმრთელობის დაზღვევის მთავარ ფონდს (CGSS) მღვისიქითა ტერიტორიებზე. იქ მომუშავე პერსონალი მოთხოვნის წარდგენაში დაგეხმარებათ. შეგიძლიათ აგრეთვე დახმარება ითხოვოთ სოციალური მუშაკისგან ან ადმინისტრაციული საქმის მწარმოებელი პირისგან.



La protection maladie des personnes en séjour régulier

La couverture de base de l'Assurance maladie

La couverture de base rembourse une partie des frais de santé, par exemple 70 % d'une consultation chez le médecin. C'est l'Assurance maladie, qu'on appelle parfois « Sécurité sociale de base » qui couvre les personnes qui résident en France de manière stable et régulière, même si elles ne travaillent pas.

La couverture complémentaire à l'Assurance maladie

La couverture complémentaire vient en complément de la couverture de base: elle rembourse par exemple les 30 % restants des frais de consultation. Elle rembourse ainsi tout ou partie des dépenses de santé non couvertes par l'Assurance maladie.



ლეგალურად მობინადრე პირების ჯანმრთელობის დაცვა

ბაზისური სამედიცინო დაზღვევის პაკეტი

ბაზისური სამედიცინო დაზღვევა სამედიცინო ხარჯებს ნაწილობრივ ფარავს, მაგალითად ექიმთან კონსულტაციის 70%-ს ანაზღაურებს. ეს ის სამედიცინო დაზღვევაა, რომელსაც « ბაზისური დაზღვევა » ჰქვია და საფრანგეთში ლეგალურად და სტაბილურად მაცხოვრებელ პირებს უზრუნველყოფს, თუნდაც არ მუშაობდნენ.

სამედიცინო დაზღვევის შემავსებელი პაკეტი

სამედიცინო დაზღვევის შემავსებელი პაკეტი ბაზისურ დაზღვევას ავსებს: მაგალითად, იგი კონსულტაციის დარჩენილ 30%-ს ანაზღაურებს. ამგვარად, იგი სრულად ან ნაწილობრივ უზრუნველყოფს ბაზისური დაზღვევისგან აუნაზღაურებელ სამედიცინო ხარჯებს.





> La Couverture Maladie Universelle complémentaire (CMU-c)

Si vos revenus sont faibles, vous pouvez bénéficier d'une couverture complémentaire gratuite. Cette assurance complémentaire s'appelle « CMU-complémentaire » ou CMU-c.



La CMU-c permet une prise en charge gratuite et totale d'une grande partie de vos soins de santé qui reste à votre charge après intervention de l'Assurance maladie (couverture de base), notamment :

- > de la part du prix de la consultation, des médicaments et des analyses en laboratoire prescrits par votre médecin. Cette prise en charge vaut également pour les dépenses chez les masseurs-kinésithérapeutes, infirmiers, orthophonistes prescrits par votre médecin traitant ;
- > des frais d'hospitalisation et du forfait journalier hospitalier ;
- > des dépenses chez votre dentiste. Les tarifs des prothèses dentaires et l'orthodontie sont limités et pris en charge ;
- > d'une paire de lunettes par an ;
- > de prothèses auditives ;
- > de dispositifs médicaux individuels divers (cannes, produits pour diabétiques, déambulateurs, pansements, etc.).

Enfin, grâce à la CMU-c, vous pouvez bénéficier de réductions sur votre carte de transport.

La CMU-c est valable 12 mois, elle doit être renouvelée entre 4 et 2 mois avant son expiration auprès de votre caisse d'Assurance maladie.

Pour plus d'informations sur la CMU-c, vous pouvez vous rendre sur le site : www.cmu.fr



> დამატებითი უნივერსალური დაზღვევის პაკეტი

თუ თქვენი შემოსავალი ძალიან მწირია, შეგიძლიათ ისარგებლოთ უფასო დამატებითი დაზღვევის პაკეტით, რომელსაც სამედიცინო დაზღვევა უზრუნველყოფს. ამ დამატებით დაზღვევას ჰქვია CMU-C.



CMU-C აფინანსებს სამედიცინო მომსახურების ხარჯების უდიდეს ნაწილს რომლის ანაზღაურებაც ბაზისური სამედიცინო დაზღვევის პროგრამაში არ შედის და რომლის გადახდაც თქვენ გეკუთვნით. სახელდობრ:

- > ექიმთან კონსულტაციის საფასურის ნაწილი, თქვენი ექიმისგან გამოწერილი მედიკამენტები და ლაბორატორიაში ჩასატარებული ანალიზები. პაკეტში აგრეთვე იგულისხმება ოჯახის ექიმისგან გამოწერილი მასაჟისტ-კინეზოთერაპევტის, ექთნის, ლოგოპედის მომსახურების ხარჯები;
- > ჰოსპიტალიზაციის საერთო ხარჯები და ჰოსპიტალიზაციის დღიური საფასური;
- > სტომატოლოგის მომსახურება. კბილის პროთეზების ტარირები და ორთოდონტია შეზღუდულია და უზრუნველყოფილი;
- > წელიწადში ერთი სათვალე;
- > სასმენი აპარატები;
- > სხვადასხვა ინდივიდუალური სამედიცინო მექანიზმები (ყავარჯენი, დიაბეტით დაავადებულთათვის განკუთვნილი პროდუქტები, როლატორები, პლასტიკები და ა.შ.).

და ბოლოს, CMU-C -ს მიმეყობით შეგიძლიათ ტრანსპორტის ბარათზე ფასდაკლებით სარგებლობა.

CMU-C-ს მოქმედების ვადაა 12 თვე. მის გასანახლებლად, ვადის გასვლამდე 2-4 თვით ადრე უნდა მიმართოთ სადაზღვევო სამსახურს.

CMU-C-ს შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის შედით საიტზე: www.cmu.fr



> L'aide pour une complémentaire santé (ACS)

Si vous n'avez pas droit à la CMU-c, si vos revenus sont légèrement au-dessus du plafond, vous pouvez bénéficier d'une aide financière appelée l'Aide au paiement d'une assurance complémentaire de santé (ACS).

Elle permet de payer une partie d'une couverture complémentaire privée (« mutuelle »)

L'ACS est valable 12 mois à dater de la souscription de votre contrat, elle doit être renouvelée entre 4 et 2 mois avant son expiration auprès de votre caisse d'Assurance maladie.

Pour plus d'informations sur l'ACS et sur les offres de contrats disponibles, vous pouvez vous rendre sur le site : www.info-acs.fr



Si vous bénéficiez de la CMU-c ou de l'ACS, les professionnels de santé n'ont pas le droit de vous demander d'avancer d'argent ou de payer un dépassement d'honoraires (sauf en cas d'exigence particulière de votre part comme, par exemple, un rendez-vous pris en dehors des horaires d'ouverture du cabinet).

> Autres organismes de protection complémentaire, dont la mutuelle

Si vos revenus sont trop élevés pour avoir droit à la CMU-c, vous devez financer vous-même votre couverture complémentaire privée. Les tarifs varient aussi d'une mutuelle à l'autre, comparez-les en fonction de vos besoins avant de vous décider.



> დამატებით დაზღვევაზე დახმარება (ACS)

თუ CMU-c-ს სარგებლობის უფლება არ გაქვთ, თქვენი შემოსავლები მწირია, შეგიძლიათ ისარგებლოთ ფინანსური დახმარებით, რომელსაც დამატებით დაზღვევაზე დახმარება (ACS) ჰქვია.

იგი საშუალებას იძლევა, რომ დამატებითი კერძო დაზღვევის ნაწილი უზრუნველყოს.

ACS-ს მოქმედების ვადაა 12 თვე. ვადის ათვლა ხელშეკრულების გაფორმებიდან იწყება. მის გასაჩივრებლად, ვადის გასვლამდე 2-4 თვით ადრე უნდა მიმართოთ სადაზღვევო სამსახურს.

ACS-ს შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის და მასთან არსებული ხელშეკრულებების გასაცნობად შედით საიტზე: www.info-acs.fr



მნიშვნელოვანია : თუ CMU-c-ს ან ACS-ს ბენეფიციარი ხართ, მედიცინის მუშაკებს არ აქვთ უფლება რომ აეანსის ან ჰონორარის გადახდა მოითხოვონ (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, მაგალითად, თუ თავად ითხოვეთ არასამუშაო საათებში მიღება).

> სხვა კერძო სადაზღვევო დაწესებულებები, დამატებითი დაზღვევა

თუ თქვენი შემოსავალი საკმაოდ მაღალია, დამატებით კერძო დაზღვევის დაფინანსება თავად უნდა უზრუნველყოთ. ტარიფი სხვადასხვა კომპანიაში განსხვავებულია. სანამ გადაწყვეტდეთ, ტარიფების შედარება თქვენი საჭიროებების მიხედვით მოახდინეთ.



Depuis 2016

► les employeurs du secteur privé doivent proposer une mutuelle à leurs salariés, en complément de la couverture de base de l'Assurance maladie. L'employeur doit financer la moitié du prix de la mutuelle, le reste est à la charge du salarié.

> La carte Vitale

La carte Vitale a la taille d'une carte de crédit mais de couleur verte avec votre photo et votre numéro de sécurité sociale. Elle est remise à tous les bénéficiaires de l'Assurance maladie dès l'âge de 16 ans et contient les renseignements administratifs nécessaires au remboursement des soins, traitements et hospitalisation. Elle permet souvent de ne pas faire l'avance des frais chez le médecin ou dans les établissements de soins. Présentez votre carte Vitale si vous allez chez le médecin ou le pharmacien. Si vous n'en avez pas, présentez l'attestation de droits qui vous a été remise par la CPAM/CGSS.



> Les affections de longue durée (ALD)

Certaines personnes souffrent d'affections de longue durée (ALD), par exemple, le diabète. Les soins liés à certaines ALD sont prises en charge à 100 %. Pour en bénéficier, parlez-en avec votre médecin traitant.




2016 წლიდან

► კერძო სექტორის დამსაქმებლები ვალდებული არიან, რომ ბაზისურ დაზღვევასთან ერთად საკუთარ თანამშრომლებს შესთავაზონ დამატებითი დაზღვევის პაკეტი. დამსაქმებელი ვალდებულია მისი ტარიფის ნახევარი დააფინანსოს, ხოლო დანარჩენს თანამშრომელი იხდის.

> დაზღვევის ბარათი

დაზღვევის ბარათი საკრედიტო ბარათის ზომისაა, მაგრამ მწვანე ფერის. მასზე გამოსახულია თქვენი ფოტო და დაზღვევის საიდენტიფიკაციო ნომერი. იგი დაზღვევით მოსარგებლე ყველა ბენეფიციარს გადაეცემა 16 წლის ასაკიდან და მასზე დატანილია საჭირო ადმინისტრაციული ინფორმაცია სამედიცინო ხარჯების ანაზღაურების, მკურნალობის და პოსაბიტალიზაციის შესახებ. ბარათი ხშირად საშუალებას იძლევა, რომ ავანსად ხარჯების გაწევა არ მოგიხდეთ ექიმთან ან სამედიცინო დაწესებულებაში ვიზიტის დროს. თუ მიდიხართ ექიმთან ან ფარმაცევტთან, წარადგინეთ დაზღვევის ბარათი და თუ მას არ ფლობთ, სადაზღვევო მოწმობა, რომელიც სამედიცინო დაზღვევის სამსახურმა (CPAM/CGSS) თქვენს სახელზე გასცა.



> ქრონიკული დაავადებები (ALD)

ზოგიერთ ადამიანს ქრონიკული დაავადება (ALD) აწუხებს, მაგალითად დიაბეტი. ზოგიერთი ქრონიკული დაავადების მკურნალობა 100% არის უზრუნველყოფილი. თქვენც რომ ისარგებლოთ ამ უზრუნველყოფით, ამ საკითხზე ოჯახის ექიმს დაელაპარაკეთ.



La protection maladie des personnes en séjour irrégulier

L'Aide Médicale de l'État (AME)

Si vous vivez en France en situation irrégulière (vous n'avez pas de titre de séjour), vous ne pouvez pas bénéficier de l'Assurance maladie, ni de la CMU-c. Vous pouvez toutefois demander l'aide médicale de l'Etat (AME) auprès de la CPAM/CGSS de votre lieu de résidence si vous avez peu de ressources et résidez en France de manière ininterrompue depuis plus de 3 mois. Cette protection maladie gratuite sert de base et de complémentaire à la fois. Ainsi, vos consultations, vos hospitalisations et la plupart de vos médicaments seront pris en charge sans que vous ayez à avancer d'argent.

Les personnes qui bénéficient de l'AME ont une carte AME qui est valable un an. Vous devez demander chaque année le renouvellement de l'AME auprès de votre CPAM/CGSS.

Le dispositif des soins urgents et vitaux (DSUV)

Si vous résidez en France depuis moins de 3 mois, vous pouvez bénéficier de la prise en charge des soins urgents et vitaux, dispensés exclusivement à l'hôpital, qui regroupent : les soins dont l'absence pourrait gravement altérer votre état de santé, les soins destinés à éviter la propagation d'une maladie (sida, tuberculose...), tous les soins de la femme enceinte et du nouveau-né, ainsi que les interruptions de grossesse. L'hôpital se chargera des démarches auprès de la CPAM/CGSS après vous avoir demandé un certain nombre de renseignements sur votre situation.



არალეგალურად მობინადრე პირების ჯანმრთელობის დაცვა

სახელმწიფო სამედიცინო დახმარება (AME)

თუ თქვენ საფრანგეთში არალეგალურად ცხოვრობთ (არ ფლობთ ბინადრობის საბუთს), ვერ შეძლებთ ვერც სამედიცინო დაზღვევით, ვერც CMU-C-თი სარგებლობას. სამაგიეროდ, შეგიძლიათ სამედიცინო დაზღვევის სამსახურისგან (CPAM/CGSS) ითხოვოთ სახელმწიფო სამედიცინო დახმარება (AME) თუ გაქვთ მცირე შემოსავალი და თუ 3 თვეზე მეტია რაც საფრანგეთში განუწყვეტლივ ცხოვრობთ. ჯანმრთელობის დაცვის ეს უფასო ფორმა აერთიანებს ძირითად და დამატებით დაზღვევას. ამგვარად, თქვენი კონსულტაციები, ჰოსპიტალიზაციები და მედიკამენტების უმეტესი ნაწილი უზრუნველყოფილი იქნება ისე რომ ავანსის გადახდა არ დაგჭირდებოდეს.

AME-თი მოსარგებლე პირებს ეძლევათ AME-ს ბარათი ერთი წლის ვადით. ყოველ წელს AME-ს განახლებაზე მოთხოვნა სამედიცინო დაზღვევის სამსახურში უნდა წარადგინოთ CPAM/CGSS.

გადაუდებელი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მკურნალობით სარგებლობა

თუ თქვენი საფრანგეთში ბინადრობა 3 თვეზე ნაკლებია, შეგიძლიათ გადაუდებელი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მკურნალობით ისარგებლოთ, რომლის მიღება ექსკლუზიურად საავადმყოფოში ხდება და მასში შედის: მკურნალობა დაავადებებზე რომლებიც თქვენს ჯანმრთელობას სერიოზულ ზიანს აყენებს, მკურნალობა, რომელიც დაავადების (შიდსი, ტუბერკულოზი...) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით ტარდება, ორსულ ქალზე და ახალშობილზე გათვალისწინებული მკურნალობები და აგრეთვე ორსულობის შეწყვეტა. საავადმყოფო მოიპოვებს რა თქვენს შესახებ საჭირო ცნობებს, სამედიცინო დაზღვევის სამსახურთან CPAM/CGSS საქმის წარმოებას თავად წარმართავს.



LE HANDICAP

Il y a différents handicaps. Certains sont visibles mais la plupart ne se voient pas. On peut avoir un handicap depuis la naissance ou à cause d'un accident ou d'une maladie. Le handicap peut être physique, visuel, auditif, mental ou psychique.

En France, les enfants et les adultes en situation de handicap ont droit à différentes aides. Si vous êtes concernés, vous pouvez peut-être y avoir droit :

- Une aide pour vous déplacer. Il y a des réductions pour les transports (métro, bus). Si vous êtes fatigué, vous pouvez être prioritaire pour les places assises dans les transports ou dans les files d'attente. Il faut demander la carte d'invalidité, appelée maintenant carte mobilité inclusion (CMI).
- Une aide financière. Des allocations peuvent être demandées pour les adultes ou les enfants : l'allocation pour adultes handicapés (AAH), la prestation de compensation du handicap (PCH), l'allocation d'éducation de l'enfant handicapé (AEEH).
- L'accès à l'école pour les enfants. Tous les enfants doivent être inscrits à l'école de leur quartier. Selon le handicap, ils iront dans une classe avec les autres enfants du quartier ou dans une classe spécialisée. Il faut s'informer auprès de la mairie ou de l'école du quartier.
- Des aides techniques, comme par le fauteuil roulant ou l'appareil auditif.



ინვალიდობა

არსებობს სხვადასხვა სახის ინვალიდობა. ზოგიერთი ვიზუალურად ჩანს, მაგრამ უმეტესობა თვალით უხილავია. ინვალიდობა შეიძლება იყოს თანდაყოლილი, ტრავმის შედეგად ან ავადმყოფობისგან გამომწვეული. ინვალიდობა შეიძლება იყოს ფიზიკური, მხედველობითი, სმენითი, გონებრივი ან ფსიქიკური.

საფრანგეთში ინვალიდი ბავშვები და ზრდასრულები ღებულობენ სხვადასხვა დახმარებებს და შეღავათებს. ეს თუ თქვენც გეკნებათ, შესაძლებელია მოგეჩივოთ იგივე უფლებები:

- დახმარება გადაადგილებაზე. არსებობს ფასდაკლებები ტრანსპორტით (მეტრო, ავტობუსი) სარეგელობაზე. დალილილობისას შეგიძლიათ ტრანსპორტში დასავდომი ადგილებით ისარგებლოთ და ასევე გქონდეთ უპირატესობა რიგში დგომისას. საჭიროა მოითხოვოთ ინვალიდობის ბარათი, რომელსაც დღეს ინკლუზიური მობილობის ბარათი ეწოდება (CMI).
- ფინანსური დახმარება. პენსიაზე მოთხოვნა შეიძლება გაკეთდეს, როგორც მოზრდილთათვის, ასევე ბავშვებისთვის: მოზრდილ ინვალიდა პენსია (AAH), ინვალიდობის საკომპენსაციო სარგებელი (PCH), ინვალიდ ბავშვთა პენსია განათლებაზე (AEEH).
- ბავშვების სასკოლო განათლებაზე ხელმისაწვდომობა. ყველა ბავშვისთვის საცხოვრებელი უბნის მიხედვით სკოლაში სიარული სავალდებულოა. შეზღუდული შესაძლებლობების გათვალისწინებით ან სპეციალურ კლასში მოხდება მათი ჩაწერა, ან უბნის სხვა ბავშვებთან ერთად მოუწვევთ სწავლა. ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია უბნის მერიაში ან სკოლაში.
- ტექნიკურად უზრუნველყოფა, როგორიცაა ინვალიდის ეტლი ან სასმინი აპარატი.





- Des lieux d'accueil pour les enfants et pour les adultes plus lourdement handicapés. La personne est accueillie pendant la journée ou bien à temps complet. C'est par exemple les instituts médico-éducatifs (IME) ou les foyers d'accueil médicalisés (FAM). Vous pouvez vous renseigner si l'enfant ne peut pas être scolarisé ou si la personne a besoin d'une aide importante au quotidien pour la toilette, pour le repas, etc.

Comment y avoir droit ?

Pour bénéficier de ces aides, le handicap doit avoir été reconnu par un médecin. Si vous avez des difficultés pour vous déplacer, pour voir, pour entendre, des difficultés liées à une longue maladie, il faut en parler avec un médecin. En fonction de votre situation, le médecin doit remplir un certificat médical à transmettre à la maison départementale des personnes handicapées (MDPH). C'est la MDPH qui va vous accompagner dans vos démarches.

Vous pourrez faire ces demandes si vous avez un titre de séjour ou si la demande de renouvellement est en cours.



Où se renseigner ?

- à la mairie
- à la maison départementale des personnes handicapées (MDPH)
- sur le site www.cnsa.fr
- sur le site www.service-public.fr



- მძიმე ინვალიდ ბავშვთა და მოზარდთა მიმღები ცენტრები. პირის მიღება ხდება დღის განმავლობაში ან საღიღამისოდ. ესენია, მაგალითად: სამედიცინო-აღმზრდევლობითი ინსტიტუტები (IME) ან სამედიცინო მიმღები ცენტრები (FAM). შეუძლიათ მათგან მიიღონ ინფორმაცია იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის სკოლაში ჩაწერა ვერ მოხდა, ან აღამიანს ყოველდღიურებაში ესაჭიროება განსაკუთრებული მზრუნველობა, რომ მოწესრიგდეს, იკვებოს და ა.შ.

როგორ გავხდეთ ბენეფიციარი?

ამ დახმარებებით სარგებლობა რომ შეძლოთ, ექიმისგან უნდა გქონდეთ ინვალიდობის აღიარება. თუ გიჭირთ გადაადგილება, მხედველობა, სმენა, გაქუთ დაზიანებები ხანგრძლივი აუადმყოფობის გამო, ამის შესახებ ექიმს უნდა დაელაპარაკოთ. ექიმმა თქვენი მდგომარეობის მიხედვით უნდა შეაესოს სამედიცინო ცნობა, რომელიც გადაეგზავნება შეზღუდული შესაძლებლობების პირთა სადეპარტამენტო დაწესებულებას (MDPH). შემდგომ ეტაპებზე ეს დაწესებულება იქნება თქვენი მეგზური.

ეს მოთხოვნები შეუძლიათ განახორციელოთ იმ შემთხვევაში, თუკი ფლობთ ბინადრობის საბუთს, ან მისი განახლების პროცესში ხართ.



სად ხდება ინფორმაციის მიღება?

- მერიაში
- შეზღუდული შესაძლებლობების პირთა სადეპარტამენტო დაწესებულებაში (MDPH)
- ვებ-გვერდზე www.cnsa.fr
- ვებ-გვერდზე www.service-public.fr



SANTÉ ET TRAVAIL

La médecine du travail

